პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

13 დეკემბერი კვირა 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 291 (14895)

კ ა ნ ო ნ ი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წესის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წესის კანონმდებლობის საფუძვლები და ძალაში შევიდეს 1971 წლის 1 სექტემბრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წესის კანონმდებლობის საფუძვლების ძალაში შესვლის წესი და სსრ კავშირის კანონმდებლობა შეუსაბამოს საფუძვლებს.

მუხლი 3. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა შეუსაბამონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წესის კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1970 წ. 10 დეკემბერი.

ლენინური პარტიის მეთაურობით — ახალი მიღწევებისაკენ!

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ ადგას კომუნისტური მშენებლობის გზას. საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩვენი სამშობლო ამთავრებს მერვე ხუთწლიან გეგმას. ქვეყანაში გაჩაღდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სკკპ მომავალი XXIV ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის მთელი ძალების შეკავშირებით ლენინური პარტია რაზმავს მათ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური, სოციალური და სულიერი განვითარების ახალი ამოცანების გადასაწყვეტად. პარტიისა და ხალხის შემოქმედებითი საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც წელს 7 დეკემბერს გაიმართა, განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც პლენუმის დავალებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობა მოწვეულ იქნეს 1971 წლის 30 მარტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვაში, რომელიც პლენუმზე წარმოთქვა, დახასიათებული იყო პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა ხუთწლიანი გეგმის შესრულების უზრუნველყოფისათვის, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა ხალხი სკკპ XXIV ყრილობას შესანიშნავი შედეგებით ეგებება. წარმატებით სრულდება ჩვენს ეკონომიური და სოციალური განვითარების ამოცანები, რომლებიც პარტიის XXIII ყრილობამ დაგვისახა. პარტია და მთელი ჩვენი ხალხი კარგად მუშაობდნენ ამ ხუთწლედში, და განსაკუთრებით დიდ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას მივაღწიეთ წელს — ლენინის საიუბილეო წელს. ეს შეგვიძლია ვთქვათ საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაზე, რომლებმაც ღირსეული წვლილი შეიტანეს სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში.

ნათლად რომ წარმოვიდგინოთ ჩვენი მიღწევების გაჭანება და მასშტაბები, საკმარისია მოვიყვანოთ ერთი შედარება. მარტო 1970 წელს წარმოებული იქნება თითქმის ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ყველა ომისწინა ხუთწლედში. სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების მატება განვლილ ხუთწლეულში გადააჭარბებს სსრ კავშირის მთელი ძირითადი საწარმოო ფონდების 1955 წლის დამლევისათვის არსებულ მოცულობას. შესამჩნევი წარმატებებია მიღწეული სოფლის მეურნეობის დარგში. 1970 წელს მოვიყვანეთ ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედების მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე უხვი მარცვლეულისა და ბამბის მოსავალი. წარმატებით ვითარდება საბჭოთა მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა, რასაც მკაფიოდ ადასტურებს „ლუნა-16“ და „ლუნა-17“ ავტომატური კოსმოსური სადგურების შესანიშნავი ფრენა. გადიდდა ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერება. ამავე დროს სერიოზული წარმატებანია მიღწეული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებაში.

ხუთწლედის წინასწარი შედეგები მოწმობენ, რომ ჩვენმა პარტიამ და ხალხმა თავი გაართვეს იმ რთულ ამოცანას, რომ ეკონომიკის შემდგომი განვითარება და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება შეეხამებინათ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ტემპის მნიშვნელოვან დაჩქარებასთან. კომუნისტები და ყველა საბჭოთა ადამიანი პარტიის XXIV ყრილობას ეგებებიან იმის მტკიცე რწმენით, რომ სწორია ჩვენი პარტიის ხაზი, ეგებებიან შესრულებული მოვალეობის გრძნობით. საბჭოთა ხალხი კარგ გუნებაზეა. კომუნისტები, უპარტიოები, ახალგაზრდობა მხარს უჭერენ პარტიის ხაზს, თავდადებით შრომობენ მისი პროგრამის განხორციელებისათვის, პარტიის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადაწყვეტისათვის. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ლენინური კურსის საყოველთაო სახალხო მხარდაჭერის მკაფიო გამოხატულება იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, რომელიც 8-10 დეკემბერს გაიმართა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ კვლავ ცხადყო ჩვენი სამშობლოს მატერიალური და სულიერი ძალების სიდიადე, ყველა მშრომელის ურყევი შეკავშირება კომუნისტური პარტიის გარშემო, გამოხატა საბჭოთა ადამიანების მისწრაფება განახორციელონ პარტიის შთამაგონებელი გეგმები. ხალხის რჩეულთა გამოსვლები, სესიის დოკუმენტები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებელი საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობითი შრომის გიგანტური მასშტაბის შთამბეჭდავ სურათს ქმნიან.

როგორც ცნობილია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებით მოწონებულია და შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი.

სსრ კავშირის 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა შემადგენელი ნაწილია 1971-1975 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმისა, რომელსაც ახლა ვამუშავებთ. მომავალი 1971 წლის გეგმის მთავარი ამოცანებია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მართვის სრულყოფა და ამის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სწრაფი ტემპების უზრუნველყოფა.

გეგმით გათვალისწინებულია გადიდდეს 1971 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა 6,9 პროცენტით, სახოფლო-სამეურნეო წარმოებისა — 5,5 პროცენტით. ქვეყნის ეროვნული შემოსავალი გაიზრდება 6,1 პროცენტით. 4,7 პროცენტით გადიდდება რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით. კაპიტალური მშენებლობის მოცულობა გაიზრდება 7,2 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდება სახელმწიფოს დანახარჯები სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის განვითარებისათვის. გეგმით გათვალისწინებულია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა. ამასთანავე ფართოვდება სსრ კავშირის საგარეო ეკონომიური კავშირურთიერთობა, უწინარეს ყოვლისა სოციალიზმის ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობის განმტკიცების სახით. ჩვენს საგარეო-სავაჭრო ბრუნვა დაახლოებით 7 პროცენტით გაიზრდება.

სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი უზრუნველყოფს სახალხო-სამეურნეო გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების დაფინანსებას და შეიდგენს შემოსავლის ნაწილში 160,9 მილიარდ მანეთს და გასავლის ნაწილში 160,7 მილიარდ მანეთს. სსრ კავშირის 1971 წლის ბიუჯეტი მშვიდობიანი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ბიუჯეტია.

როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, სსრ კავშირის 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და ბიუჯეტი გამოხატავენ კომუნისტური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის კურსს ოპტიმალური გადაწყვეტილებებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ ეროვნული შემოსავლის საჭირო ზრდას, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის გეგმაზომიერ განვითარებასა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას. მთელ მრეწველობასთან შედარებით უპირატესი ტემპით განვითარდება მისი ის დარგები, რომლებიც განსაზღვრავენ სახალხო მეურნეობის ტექნიკურ პროგრესსა და ეფექტიანობის ამაღლებას. ეს არის უწინარეს ყოვლისა შავი და ფერადი მეტალურგია, ნავთობის, ქვანახშირის, ქიმიური, ელექტროტექნიკური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ელექტროენერგეტიკა, რომლებსაც ამჟამად განსაკუთრებით მაღალ მოთხოვნებს ვუყენებთ. იზრდება დაბანდებანი სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტის განვითარებისათვის.

პარტია დიდ ყურადღებას უთმობს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობასა და განვითარებას. პარტიის კურსის შესაბამისად დასახულია კიდევ უფრო გადიდდეს კაპიტალური დაბანდება სოფლის მეურნეობაში, განსაკუთრებით მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებაში, მელიორაციასა და ქიმიზაციაში, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ სამრეწველო დარგებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კაპიტალური დაბანდების მოცულობისა და გამოყენების საკითხს. 1971 წელს კაპიტალური დაბანდების მოცულობის მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად საჭიროა შემცირდეს დაუშთავრებელი მშენებლობის მოცულობა და დაჩქარდეს საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება. აქვე უნდა ითქვას, რომ მიმდინარე წლის დეკემბერში და 1971 წლის პირველ კვარტალში ბევრი სიმძლავრე ამოქმედდება. ყოველივე ამას მეტად სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ და მტკიცედ ვიბრძოლოთ დასახული გეგმის შესრულებისათვის.

1971 წლის გეგმის განხილვისას სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და მთავრობამ გაითვალისწინეს სოციალურ დარგში მიღწეული პროგრესის დონე და იმ სოციალურ ღონისძიებათა განხორციელების ამოცანები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს მომდევნო ხუთწლეულში. საქმე ეხება მშრომელთა ხელფასის შემდგომ გადიდებას, საკენსიო უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, საბინაო მშენებლობას როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

სოციალური განვითარების საკითხებს პარტია შეუნელებელ ყურადღებას უთმობს. იგი ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური თეორიის იმ ცნობილი დებულებით, რომ სოციალიზმის საწარმოო ძალების განვითარებისა და კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გზით წინსვლის კვალობაზე ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება ობიექტური ეკონომიური აუცილებლობაა. პარტია იღვწის უზრუნველყოს ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, განათლებისა და კულტურის ამაღლება, საბჭოთა კავშირის მშრომელთა უფართოესი ფენების მაღალი პროფესიული მომზადება, მათ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილება. პარტიამ და სახელმწიფომ ბევრი რამ გააკეთეს ამ მხრივ მიმდინარე ხუთწლეულში. ჩვენი საზოგადოების განვითარების კვალობაზე გაიზრდება ამ ამოცანის გადაწყვეტის მასშტაბი და ამიტომ მას კვლავაც დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს. რა თქმა უნდა, მისი გადაწყვეტა განუყრელად არის დაკავშირებული ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან, დაგროვების მასშტაბთან. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ საჭიროა გაძლიერდეს მსუბუქი, კვების, ქიმიური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის ტემპი, რომელთა აღმავლობა ძირითად როლს შეასრულებს მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. მოსახლეობის შემოსავლის ზრდამ გააძლიერა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების პრობლემის მნიშვნელობა. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოებას, ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის საბრძოლო პროგრამას, თვითეული მშრომელი კოლექტივის, თვითეული საბჭოთა ადამიანის მოქმედების პროგრამას წარმოადგენენ. პარტიული ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, მთელი ჩვენი პარტიულ-სამეურნეო კადრების ამოცანა ის არის, რომ ხათავენი ჩაუდგნენ ხალხის პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებათა საფუძველზე გააჩაღონ ფართო პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობა მასებში. საჭიროა ყოველმხრივ განვმარტოთ 1971 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მნიშვნელობა, ვაჩვენოთ, რომ იგი სახავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების, ჩვენი ეროვნული შემოსავლის ზრდის, სახალხო მოხმარების საქონლის და კვების პროდუქტების წარმოების გადიდების ახალ შესაძლებლობებს, საშუალებას გვაძლევს მივაღწიოთ ბინების, საავადმყოფოების, სკოლების, კულტურული დაწესებულებების მშენებლობის დიდ მოცულობებს და ამით სახავს ხალხის ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ახალ შესაძლებლობებს. ამაზე უნდა ვილაპარაკოთ არა მარტო ამჟამად მიმდინარე პარტიულ კრებებსა და კონფერენციებზე, არამედ აგრეთვე მუშათა, კოლმეურნეთა და მოსახლეობის ყველა კრებაზე.

ამოცანების განხილვა თვითეულ კოლექტივში, კონკრეტული უნდა იყოს და მიზნად ისახავდეს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას, მომზერნეობის რეჟიმის განმტკიცებას, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის ამაღლებას. პარტია კომუნისტებს, ყველა მშრომელს ზრდის ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის, იმ მტკიცე გადაწყვეტილების სულისკვეთებით, რომ შეუპოვრად დაძლიონ სიძნელენი. ჩვენი პარტია ამას გულახდილად და პატიოსნად ეუბნება ხალხს. ცნობილია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმზე, რომელიც ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის ძირეულ საკითხებს განიხილავდა, გაკაკრიტიკეს სამეურნეო და სხვა ორგანიზაციათა მუშაობის ნაკლოვანებანი. ეს კრიტიკა მეტად სასარგებლო იყო. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დარაზმა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, სამეურნეო კადრები, ყველა მშრომელი 1970 წლის გეგმის შესრულებისათვის სანრძოლველად, რამაც უზრუნველყო მთელი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით დამთავრება.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გამოვიდნენ მასებში პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ამ წლებში შეძენილი გამოცდილებით შეიარაღებულნი, ამასთან აქტიურად დაუჭირონ მხარი ბერი კოლექტივის — ქარხნების, ფაბრიკების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მთელი რაიონების, ქალაქებისა და ოლქების შესანიშნავ წამოწყებებს, რომლებიც ახალ, გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებს კისრულობენ პარტიის XXIV ყრილობის აღსანიშნავად. პარტიული, პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა დაეხმარონ მუშებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს, სამეცნიერო დაწესებულებების კოლექტივებს ნაკისრი ვალდებულებათა განადგურებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მიმდინარე წლის გეგმის წარმატებით შესრულებას, რაც საშუალებას მოგვცემს შევქმნათ საჭირო დაგროვება მომავალი წლის დამდეგისათვის. თუ საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა კოლექტივი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ეს იმის უტყუარი გარანტია იქნება, რომ მომავალი წლის პირველი კვარტალის გეგმაც გადაჭარბებით შესრულდება. ეს კი თავის მხრივ ახალი ხუთწლედის პირველი წლის მთელი გეგმის წარმატებით განადგურების საწინდარია.

ამათ პირველ რიგებში, ვინც თავისი შრომით განამტკიცებს სამშობლოს ძლიერებას, აუმჯობესებს ხალხის ცხოვრებას, ამარავლებს კომუნისტური მშენებლობის წარმატებებს, იყვნენ, არიან და იქნებიან კომუნისტები. კომუნისტები არიან სოციალისტური შეჯიბრების თაოსნები, ამისათვის ბრძოლის ინიციატორები, რომ დირსეულად შეეხვედეთ შშობლიური პარტიის ყრილობას ახალი შრომითი წარმატებებით. პარტიულ ორგანიზაციებში ამჟამად მიმდინარე ანგარიშები და არჩევნები კვლავ მკაფიოდ მოწმობს ჩვენი პარტიის ძალასა და სიმტკიცეს, მისი რიგების ურყევ ერთიანობასა და შეკავშირებას, მზადყოფნას კვლავაც მტკიცედ და განუხრელად იარონ საბჭოთა ხალხის მეთაურობით კომუნიზმის გზით.

ეჭვი არ არის, რომ პარტიული ორგანიზაციები კიდევ უფრო აამაღლებენ ორგანიზატორული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონეს და უზრუნველყოფენ იმ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების შესრულებას, რომლებიც ახალი ხუთწლედის წარმატებულ სტარტთან არიან დაკავშირებული. პლენუმზე გამოთქვეს რწმენა, რომ ჩვენი პარტიის ყველა რაზმი, ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა, ოლქი და მხარე მოიპოვებენ ახალ წარმატებებს, რომ ყველა ისინი ღირსეული მაჩვენებლებით შეეგებებიან XXIV ყრილობას.

საბჭოთა კომუნისტებს, მთელ ჩვენს ხალხს ჩვენი ქვეყნის კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მიაჩნიათ თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულებად მუშათა კლასის წინაშე, მთელი მსოფლიოს შრომელთა წინაშე. ახლა, როცა მომავალი პერიოდის გეგმებს განსაზღვრავს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია წინანდებურად ესწრაფვის ორგანულად დაუკავშიროს ისინი ჩვენს საერთო ინტერნაციონალურ ამოცანებს.

„მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, აგრესიის ძალებისა და ხალხთა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის ლენინური პრინციპები განსაზღვრავენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელ საქმიანობას საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა საზეიმო სხდომაზე ერევანში. — ჩვენ ყოველ დღეს ვხმარობთ, რომ კიდევ უფრო მტკიცდებოდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, თანამედროვეობის გადამწყვეტი ძალა, რომლის გავლენა მსოფლიო განვითარების მსვლელობაზე განუხრელად იზრდება.

ვამაყობთ ჩვენი ლენინური პარტიით, ჩვენი სოციალისტური სამშობლოთი და მტკიცედ ვამბობთ, რომ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა, რომელიც მის ეკონომიურ და თავდაცვის ძლიერებას ეყრდნობა, — ეს არის მძლავრი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის, ყველა სოციალისტური ქვეყნის წარმატებით განვითარების ხელშემწყობ პირობებს, იმსახურება მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და პროგრესის საქმეს“.

ჩვენი სამშობლოს მშრომელები დიდი ქმაყოფილებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს. ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან მოდის ცნობები, რომ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება, მეტ შემოქმედებითს შრომითს ინიციატივასა და აქტივობას იჩენენ მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, რომლებიც ისწრაფვიან გაუსწორონ სამშობლო ახალი წარმატებებით სკკპ XXIV ყრილობის ზღურბლზე.

ორი ხუთწლედის მიჯნაზე განსაკუთრებით თვალსაჩინოა ის დიდი ეკონომიური, კულტურული, სოციალური გარდაქმნები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოხდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ხალხის შემოქმედებითი საქმიანობის შედეგად. შშობლიური ლენინური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა ხალხი თაავგონებით შრომობს იმისათვის, რომ კიდევ უფრო მტკიცდებოდეს ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერება, მაღლდებოდეს მისი როგორც ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბურჯის საერთაშორისო ავტორიტეტი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის ინფორმაცია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის შედეგების შესახებ, რომელიც ბერლინში გაიმართა 1970 წლის 2 დეკემბერს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებანი ეფექტიანად შეუწყობენ ხელს პოლიტიკური ვითარების გაჯანსაღებას ევროპაში. პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირის გადაწყვეტილებანი მიზნად ისახავენ უშიშროების განმტკიცებას და კეთილმეზობლური თანამშრომლობის განვითარებას ევროპის კონტინენტზე იმ პოლიტიკურ და ტერიტორიულ რეალობათა შესაბამისად, რომლებიც მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდეგომი განვითარების შედეგად შეიქმნა. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადებების განხორციელება დიდ წვლილს შეიტანს მშვიდობის განმტკიცების საქმეში და ამით ევროპის ყველა ხალხის დიდი წარმატებაც იქნება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ორმაგ არიან დარწმუნებული, რომ სოციალისტური ქვეყნების ინტერნაციონალური სოლიდარობა ინდოჩინეთის, ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის ქვეყნების მებრძოლ ხალხებთან, რამაც მკაფიო გამოხატულება ჰპოვა ბერლინის თათბირის საბოლოო დოკუმენტებში, კვლავაც უცვლელი ქმედითი ფაქტორი იქნება ხალხების შესაკავშირებლად იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების ერთსულოვნება და ერთნაირი მიდგომა ფართო საერთაშორისო საკითხების განხილვის დროს, მათი მტკიცე გადაწყვეტილება, კვლავაც შეთანხმებულად და ერთად იმოქმედონ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის, სოციალიზმის ქვეყნების მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის ახალ წარმატებათა საიმედო წანამძღვრებს ქმნის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საკვლევი მოიწონეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის საქმიანობა ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე.

დღეს, 13 დეკემბერს სახალხო მოსამართლეთა არჩევნებია



დღეს ჩვენს დიად ქვეყანაში მოეწყობა სახალხო სასამართლოების მოსამართლეთა არჩევნები. ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიის ორგანიზებულად ჩატარებისათვის დიდი მუშაობა იქნა გაწეული საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში. კოლტორეულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყო თემატური ლიტერატურის გამოფენები, აგიტატორები და პოლიტინფორმატორები ამომრჩევლებთან სისტემატურად აწყობდნენ საუბრებს თემაზე: ადამიანი და კანონი, სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, დემოკრატიული პრინციპები სასამართლო ორგანოების საქმიანობაში და სხვ.

ჩვენს ამომრჩევლებს კარგად აქვთ შეგნებული, რომ ჩვენი მართლმსაჯულების ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს სსრ კავშირის ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და მოქალაქე ზუსტად და განუხრელად ასრულებდეს კანონს. ამ ამოცანას რომ განხორციელებენ, სახალხო სასამართლოები საბჭოთა ადამიანებს ზრდიან სოციალისტური საკუთრებისადმი სათუთი დამოკიდებულების, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატიოსანი დამოკიდებულების სულისკვეთებით.

სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებს რომ იცავს, ჩვენი სასამართლო ამავე დროს იცავს ჩვენი ქვეყნის თვითეული მოქალაქის უფლებასა და ინტერესებს.

მომდინარე არჩევნებში საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახალხო მოსამართლეობის კანდიდატებად დასახელეს საუკეთესო ადამიანები, რომლებმაც მშრომელთა ნდობა და პატივისცემა დაიმსახურეს.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნები სოციალისტური დემოკრატიის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია, კომუნისტური პარტიისა და ხალხის მოსოლითური ერთიანობის მკაფიო გამოვლინებაა. ეჭვი არ არის, რომ დღეს — 13 დეკემბერს საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად მისცემენ ხმას თავიანთ კანდიდატებს და ამით კვლავ ცხადყოფენ თავიანთ ურღვევ რწმენას კომუნისტური იდეალების გამარჯვებისადმი, თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას, ამრავლონ წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე და მტკიცედ იბრძოლონ საბჭოთა კანონიერების დასაცავად.

• • •

სურათზე: თბილისი. კალინინის სახელობის რაიონის 22-ე საარჩევნო უბანთან.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

არჩევნებზე!

„ლუნოხოდ-1“-ის მანევრები მთვარის ზედაპირზე

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი, 12 დეკემბერი. (საკდისა). გუშინ 17 საათზე მოსკოვის დროით დაიწყო რადიო და სატელევიზიო კავშირის მესამე სეანსი „ლუნოხოდ-1“-თან, რომელიც განაგრძობს მუშაობას მთვარის ზედაპირზე.

შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრიდან კომანდებით კვლავ ჩაირთო ტელევიზიტმომგრები, რომლებმაც დედამიწაზე გადმოსცეს მთვარის ზედაპირის ახალი მაღალხარისხოვანი პანორამები. ამ მომენტისათვის მთვარის პორიზონტზე მზის კუთხე შეადგენდა 27 გრადუსს, რაც უზრუნველყოფდა გარემომცველი ლანდშაფტის კონტრასტულ განათებას.

„ლუნოხოდ-1“ ავტომატური აპარატის მოძრაობის დროს განხორციელდა მანევრირება, რომლის მიზანი იყო მთვარემავლის მართვის შემდგომი დახვეწა სხვადასხვა სიჩქარეზე და შეხვედრილ დაბრკოლებათა შემოვლა. მთვარემავალი სამხრეთისაკენ მიემართება წყვიმების ზღვის დასავლეთ ნაწილში, რომელიც სამუალოდ არის დასერილი სხვადასხვა ზომის კრატერებით. შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრის ოპერატორებმა უზრუნველყვეს მთვარემავლის მოძრაობა შორეული მართვით.

11 დეკემბერს კავშირის სეანსის დროს „ლუნოხოდ-1“ აპარატმა გაიარა 98 მეტრი. ხანმოკლე დაჩერებათა დროს ხდებოდა გრუნტის სიმკვრივის გაზომვა, შესრულდა მთელი რიგი მეცნიერული ექსპერიმენტები.

სხვადასხვაგვარი ტელემეტრიული ინფორმაცია, რომელსაც მთვარემავლიდან იღებენ შორეული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრში, ადასტურებს, რომ აპარატის ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. კერძოდ, ხელსაწყოს ნაკვეთურში ტემპერატურა უდრის პლუს 15 გრადუსს, იმ დროს, როცა გარეთ მთვარემავლის მაქსიმალური ტემპერატურა პლუს 108 გრადუსია ცელსიუსით. წნევა ხელსაწყოს ნაკვეთურში შეადგენს ვერცხლისწყლის სვეტის

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად წყლები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ბუნებრივი სიმდიდრე, ნაციონალიზებული იყო და ხალხის კუთვნილება გახდა.

წყლის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში საწყლო ურთიერთობის საფუძველია, ხელშემწყობ პირობებს უქმნის წყლების გეგმაერი და კომპლექსური გამოყენების განხორციელებას რაც შეიძლება მეტი სახალხო-სამეურნეო ეფექტით, საშუალებას გვაძლევს უზრუნველვყოთ საბჭოთა ადამიანების შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის საუკეთესო პირობები.

საზოგადოებრივი წარმოებისა და ქალაქთმშენებლობის განვითარება, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება და კულტურული დონის ამაღლება ზრდიან მრავალმხრივ მოთხოვნილებას წყალზე და ადიდებენ წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მნიშვნელობას.

საბჭოთა წყლის კანონმდებლობა მოწოდებულია აქტიურად შეუწყოს ხელი წყლების რაც შეიძლება ეფექტიან, მეცნიერულად დასაბუთებულ გამოყენებას და მათს დაცვას გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან.

ᲙᲐᲠᲘ I

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲓᲔᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

მუხლი 1. საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ამოცანები

საბჭოთა წყლის კანონმდებლობის ამოცანებია მოაწესრიგოს საწყლო ურთიერთობა, რათა უზრუნველყოს წყლების რაციონალური გამოყენება მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებებისათვის, დაიცვას წყლები გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, თავიდან აგვაცილოს და მოსპოს წყლების მავნე ზემოქმედება, გააუმჯობესოს წყლის ობიექტების მდგომარეობა, აგრეთვე დაიცვას საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა უფლებები, განამტკიცოს კანონიერება საწყლო ურთიერთობის დარგში.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობა

სსრ კავშირში საწყლო ურთიერთობას აწესრიგებენ ეს საფუძვლები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის წყლის კანონმდებლობის სხვა აქტები, მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კოდექსები და წყლის კანონმდებლობის სხვა აქტები.

საადგილმამულო, სატყეო და სამთო ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი კანონმდებლობა.

მუხლი 3. წყლის სახელმწიფო საკუთრება სსრ კავშირში

სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად წყლები საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში სახელმწიფო საკუთრება, ესე იგი საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა.

სსრ კავშირში წყლები მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაა და მხოლოდ სარგებლობაში გადაეცემა. აკრძალულია მოქმედება, რომელიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

მუხლი 4. წყლის ერთიანი სახელმწიფო ფონდი

სსრ კავშირში მთელი წყლები (წყლის ობიექტები) შეადგენენ წყლის ერთიან სახელმწიფო ფონდს.

წყლის ერთიან სახელმწიფო ფონდში შედის:

1) მდინარეები, ტბები, ზედაპირული წყალსატევები და წყაროები, აგრეთვე არტეზიანი და გუბურების წყლები;

2) მიწისქვეშა წყლები და მყინვარები;

3) სსრ კავშირის შიდა ზღვები და სხვა შიდა საზღვაო წყლები.

4) სსრ კავშირის ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა).

მუხლი 5. სსრ კავშირის კომპეტენცია საწყლო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

საწყლო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობაშია:

1) წყლის სახელმწიფო ერთიანი ფონდის განკარგვა იმ ფარგლებში, რომლებიც საჭიროა სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად სსრ კავშირის უფლებამოსილების განხორციელებისათვის;

2) ძირითადი დებულებების დადგენა წყლების გამოყენების, გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან მათი დაცვის, წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის დარგში.

3) წყალსარგებლობის, წყლის ხარისხისა და მისი შეფასების მეთოდების საერთო საკავშირო ნორმატივების დადგენა;

4) სსრ კავშირისათვის ერთიანი წყლების სახელმწიფო აღრიცხვის, მათი გამოყენების, წყალსარგებლობისა და წყლის სახელმწიფო კადასტრის სისტემის შექმნა;

5) წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების, აგრეთვე საერთო საკავშირო მნიშვნელობის წყალსამეურნეო ბალანსების დამტკიცება;

6) წყლების გამოყენების, დაცვის, მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის საერთო საკავშირო ღონისძიებების დაგეგმვა;

7) წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლი და მისი განხორციელების წესის დადგენა;

8) წყლის იმ ობიექტების განსაზღვრა, რომელთა სარგებლობას აწესრიგებენ სსრ კავშირის ორგანოები.

მუხლი 6. მოკავშირე რესპუბლიკების კომპეტენცია საწყლო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირის კომპეტენციის ფარგლებს გარეთ საწყლო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში მოკავშირე რესპუბლიკის გამგებლობაშია: რესპუბლიკის ტერიტორიაზე წყლის ერთიანი სახელმწიფო ფონდის განკარგვა; წყლების სარგებლობის, გაჭუჭყიანებისაგან, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან მათი დაცვის, წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის წესის დადგენა; წყლების გამოყენების, დაცვის, მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებათა დაგეგმვა; წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების, წყალსამეურნეო ბალანსების დამტკიცება, წყლების გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის განხორციელება, აგრეთვე საწყლო ურთიერთობის მოწესრიგება სხვა საკითხებში, თუ ისინი სსრ კავშირის კომპეტენციაში არ შედის.

მუხლი 7. სახელმწიფო მართვა წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში

წყლის გამოყენებისა და დაცვის დარგში სახელმწიფო მართვას ახორციელებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, აგრეთვე წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები უშუალოდ ან სააუზო (ტერიტორიული) სამმართველოების მეშვეობით და სხვა სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. სახელმწიფო კონტროლი წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი

წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლის ამოცანაა უზრუნველყოს, რომ ყველა სამინისტრომ, უწყებამ, სახელმწიფო, კოოპერაციულმა, საზოგადოებრივმა საწარმომამ, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა და მოქალაქეებმა დაიცვან სსრ კავშირის სარგებლობის დადგენილი წესი, შეასრულონ წყლის დაცვის, მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის მოვალეობანი, წყლის აღრიცხვის წარმოების წესები, აგრეთვე წყლის კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესები.

წყლის გამოყენებისა და დაცვისადმი სახელმწიფო კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე სპეციალურად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა მონაწილეობა წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში

პროფესიული კავშირები, ახალგაზრდობის ორგანიზაციები, ბუნების დაცვის საზოგადოებანი, სამეცნიერო საზოგადოებანი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, აგრეთვე მოქალაქენი ხელს უწყობენ სახელმწიფო ორგანოებს წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის ღონისძიებათა განხორციელებაში.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები მონაწილეობენ წყლის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის უზრუნველყოფისათვის საქმიანობაში თავიანთი წესდებების (დებულებების) ღა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგება, დაპროექტება, მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე

ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის დროს, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, უნდა უზრუნველვყოთ წყლების რაციონალური გამოყენება იმ პირობით, რომ უწინარეს ყოვლისა დაკმაყოფილოთ მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებანი, ამასთან გავითვალისწინოთ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლის ობიექტებიდან აღებული და ამ ობიექტებში დაბრუნებული წყლის აღრიცხვას, წყლების დაცვას გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, წყლის მავნე ზემოქმედების აღკვეთას, მიწების დატბორვის შეზღუდვას მინიმალურად საჭირო ოდენობამდე, მიწების დაცვას დამლაშებისაგან, წყლის შედგომისა თუ დაშრობისაგან, აგრეთვე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისა და ლანდშაფტების დაცვას.

თევზსამეურნეო წყალსატევებში ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგების, დაპროექტების, მშენებლობისა და საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს, ამას გარდა, დროულად უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ თევზის, აგრეთვე წყლის სხვა ცხოველებისა და მცენარეების დაცვას და მათი მომრავლების პირობებს.

იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის ადგილის განსაზღვრა, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, უნდა შეეუთანხმოთ წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, ორგანოებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას, თევზის მარაგის დაცვას, და სხვა ორგანოებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობის პროექტები უნდა შეეუთანხმოთ წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანებს და სხვა ორგანოებს იმ შემთხვევებში და წესით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

აკრძალულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს:

ახალი და რეკონსტრუირებული საწარმოები, საამქროები, აგრეგატები, კომუნალური და სხვა ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილი არ არიან წყლის გაჭუჭყიანებისა და დანაგვიანების ან მისი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებელი მოწყობილობით;

სარწყავი და გაწყლოვანების სისტემები, წყალსაცავები და არხები, სანამ არ განხორციელდება პროექტებით გათვალისწინებული ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ მიწების დატბორვას, წყლის შედგომას, დაჭაობებას, დამლაშებას და ნიადაგთა ეროზიას;

დაშრობის სისტემები, სანამ მზად არ იქნება წყალმიმღებები და სხვა ნაგებობანი დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

წყალსაღები ნაგებობანი, სანამ არ ექნებათ თევზსაცავი მოწყობილობანი დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, სანამ მზად არ იქნება მოვარდნილი წყლის და თევზის გაშვების მოწყობილობანი დამტკიცებული პროექტების შესაბამისად;

წყლის ჭაბურღილები, სანამ არ აღიჭურვებიან წყლის მარეგულირებელი მოწყობილობებით და შესაბამის შემთხვევებში არ დაწესდება სანიტარული დაცვის ზონები.

აკრძალულია წყალსაცავების ავსება, სანამ არ განხორციელდება პროექტებით გათვალისწინებული კალაპოტის მომზადების ღონისძიებანი.

მუხლი 11. სამუშაოთა წარმოების წესი წყლის ობიექტებზე და სანაპირო ზოლებში (ზონებში)

სამშენებლო, ფსკერგასაღრმავებელი და ასაფეთქებელი სამუშაოები, სასარგებლო წიაღისეულთა და წყლის მცენარეთა მოპოვება, კაპელების, მილსადენებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ტყის ჩეზვა, საბურღი, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოები წყლის ობიექტებზე ან წყალსატევების სანაპირო ზოლებში (ზონებში), რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, წარმოებს წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტთან და სხვა ორგანოებთან შეთანხმებით სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

ᲙᲐᲠᲘ II

ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐ

მუხლი 12. წყლით მოსარგებლენი

სსრ კავშირში წყლით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და სსრ კავშირის მოქალაქენი.

სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყლით მოსარგებლენი შეიძლება იყვნენ აგრეთვე სხვა ორგანიზაციები და პირები.

მუხლი 13. წყალსარგებლობის ობიექტები

სარგებლობისათვის გადაეცემა წყლის ობიექტები, რომლებიც ჩამოთვლილია ამ საფუძვლების მე-4 მუხლში.

იმ წყლის ობიექტების გამოყენება, რომლებსაც განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ან განსაკუთრებული მეცნიერული თუ კულტურული ღირებულება აქვთ, შეიძლება აიკრძალოს ნაწილობრივ ან მთლიანად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დადგენილი წესით.

მუხლი 14. წყალსარგებლობის სახეობანი

წყლის ობიექტები სარგებლობისათვის გადაეცემათ, თუ დაცულია კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები და პირობები სასმელ, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო, გამაჯანსაღებელ და სამხალეობის სხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, ენერგეტიკული, სატრანსპორტო, თევზსამეურნეო და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის. წყლის ობიექტების გამოყენება ჩამდინარე წყლების გადასადებად დასაშვებია მხოლოდ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და სპეციალური მოთხოვნებისა და პირობების დაცვით.

განსხვავდება საერთო წყალსარგებლობა, რომელიც ხორციელდება იმ ნაგებობათა ან ტექნიკურ მოწყობილობათა გამოუყენებლად, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, და სპეციალური წყალსარგებლობა, რომელიც ხორციელდება ასეთ ნაგებობათა ან მოწყობილობათა გამოყენებით. სპეციალურ წყალსარგებლობას ცალკეულ შემთხვევებში შეიძლება მიეკუთვნოს წყლის ობიექტებით სარგებლობა იმ ნაგებობათა ან ტექნიკურ მოწყობილობათა გამოუყენებლად, რომლებიც გავლენას არ ახდენენ წყლების მდგომარეობაზე.

სპეციალური წყალსარგებლობის სახეობათა ნუსხას აწესებენ წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოები.

წყლის ობიექტები შეიძლება იყოს ერთობლივ ან განკერძოებულ სარგებლობაში.

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც წყლის ობიექტები მიეცემული აქვთ განკერძოებული სარგებლობისათვის, — პირველადს წყლით მოსარგებლეებს, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უფლება აქვთ სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს დართონ მეორადი წყალსარგებლობის უფლება წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით.

მუხლი 15. წყლის ობიექტების სარგებლობისათვის გადაცემის წესი და პირობები

წყლის ობიექტები სარგებლობისათვის ეძლევათ უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

განკერძოებული სარგებლობისათვის წყლის ობიექტები ეძლევათ მთლიანად ან ნაწილობრივ მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას, მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ან სხვა ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სპეციალური წყალსარგებლობა ხორციელდება წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოების, ხოლო სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გაცემულ ნებართვათა საფუძველზე. ასეთი ნებართვები გაიცემა იმ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარულ ზედამხედველობას, თევზის მარაგის დაცვას, აგრეთვე სხვა დაინტერესებულ ორგანოებთან შეთანხმების შემდეგ. სპეციალური წყალსარგებლობის შესახებ ნებართვათა შეთანხმებისა და გაცემის წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

საერთო წყალსარგებლობა ხორციელდება ყოველგვარი ნებართვის გაუცემლად მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით. წყლის ობიექტებზე, რომლებიც გადაცემულია განკერძოებული სარგებლობისათვის, საერთო წყალსარგებლობა დასაშვებია პირობებით, რომლებსაც პირველადი წყლით მოსარგებლე ადგენს წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში კი იგი შეიძლება აიკრძალოს.

წყალსარგებლობა ხორციელდება უფასოდ. სპეციალური წყალსარგებლობა შეიძლება ანაზღაურდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევებში და წესით.

მუხლი 16. წყალსარგებლობის ვადები

წყლის ობიექტები გადაეცემათ უვადო ან დროებითი სარგებლობისათვის.

წყალსარგებლობა უვადოდ (უფმინვად) მიიჩნევა, თუ წინასწარ დადგენილი არ არის ვადა.

დროებითი სარგებლობა შეიძლება იყოს მოკლევადიანი — სამ წლამდე და გრძელვადიანი — სამიდან ოცდაათამ წლამდე. საჭიროების შემთხვევაში წყალსარგებლობის ვადები შეიძლება გაგრძელდეს პერიოდისათვის, რომელიც შესაბამისად არ აღემატება მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დროებითი სარგებლობის ვადებს.

საერთო წყალსარგებლობა ვადით არ იზღუდება.

მუხლი 17. წყლით მოსარგებლეთა უფლებანი და მოვალეობანი

წყლით მოსარგებლეებს უფლება აქვთ წყლის ობიექტებით ისარგებლონ მხოლოდ იმ მიზნებით, რისთვისაც ეს ობიექტები მიეცათ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში წყლით მოსარგებლეთა უფლებანი შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესებისათვის, აგრეთვე სხვა წყლით მოსარგებლეთა ინტერესებისათვის. ამასთან მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლით სარგებლობის პირობები არ უნდა გაუარესდეს.

წყლით მოსარგებლენი მოვალენი არიან:

რაციონალურად გამოიყენონ წყლის ობიექტები, იზრუნონ წყლის მომჭირნედ ხარჯვისათვის, წყლის აღდგენისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

განახორციელონ ღონისძიებანი, რათა საკმაოდ შეწყდეს გამაჭუჭყიანებელ ნივთიერებათა შემავალი ჩამდინარი წყლების ჩაშვება წყლის ობიექტებში;

არ დაარღვიონ სხვა წყლით მოსარგებლეთათვის მიცემული უფლებანი, აგრეთვე ზიანი არ მიაყენონ სამეურნეო ობიექტებსა და ბუნებრივ რესურსებს (მიწებს, ტყეებს, ცხოველთა სამყაროს, სასარგებლო წიაღისეულს და სხვ.);

წესრიგში ჰქონდეთ საშენდი და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობანი და ტექნიკური მოწყობილობანი, რომლებიც გავლენას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, გააუმჯობესონ მათი საექსპლოატაციო ხარისხი, დადგენილ შემთხვევებში კი აღრიცხონ წყლით სარგებლობა.

მუხლი 18. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყალსარგებლობის უფლება შესაბამისად უნდა შეწყდეს იმ შემთხვევებში, თუ:

1) ალარ სჭირდებათ ან უარს იტყვიან წყალსარგებლობაზე;

2) გავა წყლით სარგებლობის ვადა;

3) გაუქმდება საწარმოები, ორგანიზაციები ან დაწესებულებანი;

4) წყალსამეურნეო ნაგებობანი გადაეცემათ სხვა წყლით მოსარგებლეებს;

5) საჭირო გახდება წყლის ობიექტების ჩამორთმევა განკერძოებული სარგებლობიდან.

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყლით სარგებლობის უფლება (გარდა სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის წყლით სარგებლობის უფლებისა) შეიძლება შეწყდეს აგრეთვე წყლით სარგებლობისა და მისი დაცვის წესების დარღვევის შემთხვევაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებული იყოს საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის სხვა საფუძვლებიც.

მუხლი 19. წყალსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

წყალსარგებლობის უფლება წყდება იმ გზით, რომ:

აუქმებენ სპეციალური, აგრეთვე მეორადი წყალსარგებლობის ნებართვას;

ჩამოართმევენ განკერძოებულ სარგებლობაში გადაცემულ ობიექტებს;

სპეციალური წყალსარგებლობა წყდება იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც ამის ნებართვა გასცა.

მეორადი წყალსარგებლობა შეიძლება შეწყდეს პირველადი წყლით მოსარგებლის გადაწყვეტილებით, რომელიც შეთანხმებულია წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოსთან.

განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ამოღება ხდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და საკავშირო დაქვემდებარების დაწესებულებათა განკერძოებული სარგებლობიდან წყლის ობიექტების ამოღება შეიძლება მოხდეს წყლით მოსარგებლეებთან და სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით, რომლებსაც ისინი უშუალოდ ექვემდებარებიან.

მუხლი 20. წყალსამეურნეო ღონისძიებების მოწყობის, წყალსარგებლობის შეწყვეტის პირობების თუ შეცვლის შედეგად ზარალის ანაზღაურება

ზარალი, რომელსაც საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს მიაყენებს წყალსამეურნეო ღონისძიებანი (ჰიდროტექნიკური სამუშაოები და სხვ.), აგრეთვე წყალსარგებლობის შეწყვეტა ან პირობების შეცვლა, უნდა ანაზღაურდეს იმ შემთხვევაში და იმ წესით, რომელსაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს.

მუხლი 21. მოსახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრებო და სხვა საჭიროებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობა

მოსახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებისათვის, აგრეთვე სხვა საჭიროებისათვის გადაეცემათ წყლის ობიექტები, რომელთა წყლის ხარისხი შეესაბამება დადგენილ სანიტარულ მოთხოვნებს.

სასმელი ხარისხის მიწისქვეშა წყლების გამოყენება საჭიროებისათვის, რომელიც სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას არ უკავშირდება, როგორც წესი, დაუშვებელია. რაიონებში, სადაც არ არის საჭირო ზედაპირული წყლის წყაროები და სასმელი ხარისხის მიწისქვეშა წყლების საკმარისი მარაგი, წყლების გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს შეუძლიათ დართონ ამ წყლების გამოყენების ნებართვა მიზნებისათვის, რომლებიც არ უკავშირდება სასმელ და საყოფაცხოვრებო წყალმომარაგებას.

მუხლი 22. წყლის ობიექტებით სარგებლობა, სამკურნალო, საკურორტო და გამაჯანსაღებელი მიზნით

წყლის ობიექტებს, რომლებიც დადგენილი წესით განეკუთვნება სამკურნალო კატეგორიას, უწინარეს ყოვლისა იყენებენ სამკურნალო და საკურორტო მიზნით. გამონაკლის შემთხვევებში წყლების გამოყენებისა და დაცვის მარეგულირებელ ორგანოს შეუძლიათ დართონ ნება, რომ სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტები გამოიყენონ სხვა მიზნით ჯანმრთელობის დაცვისა და კურორტების მართვის შესაბამის ორგანოთან შეთანხმებით.

სამკურნალო კატეგორიის წყლის ობიექტებში აკრძალულია ჩამდინარი წყლების ჩაშვება.

დასვენებისა და სპორტისათვის წყლების გამოყენების წესს ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

მუხლი 23. წყლის ობიექტებით სარგებლობა სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის.

წყლის ობიექტებით სარგებლობა სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის ხორციელდება როგორც საერთო, ისე სპეციალური წყალსარგებლობის წესით.

სპეციალური წყალსარგებლობის დროს იყენებენ სარწყავ, მოსაწყლიერებელ, დასაშრობ და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებსა და მოწყობილობებს, რომლებიც ეკუთვნის სახელმწიფო ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა წყლით მოსარგებლეებს.

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქეები, რომლებიც წყლის ობიექტებით სარგებლობენ წყლის მეურნეობის საჭიროებებისათვის, ვალდებული არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი კოეფიციენტები, წესები, ნორმები და რეჟიმი, განახორციელონ ღონისძიებანი, რათა შეამცირონ სამელიორაციო სისტემებში ფილტრაციისა და აორთქლების შედეგად წყლის დანაკარგი, თავიდან აიცილონ ამ სისტემებიდან წყლის არარაციონალური გადაგდება, ხელი შეუშალონ თევზის მოსვლრას თევზის მეურნეობის წყალსატევებიდან სამელიორაციო სისტემებში, აგრეთვე შემნან ნიადაგის ტენიანობის ყველაზე ხელშემწყობი რეჟიმი.

ჩამდინარი წყლებით სასოფლო-სამეურნეო მიწების მორწყვის უფლებას იძლევიან წყლების გამოყენებისა და დაცვის მარეგულირებელი ორგანოები სანიტარიული და ვეტერინარული ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

ამ მუხლის დებულებანი ვრცელდება აგრეთვე იმ მიწების მორწყვასა და დაშრობაზე, რომლებიც უკავია ტყეებს, ტყის ზოლსა და ტყის სანერგეებს.

მუხლი 24. წყლის ობიექტებით სარგებლობა სამრეწველო მიზნით

წყლით მოსარგებლენი, რომლებიც წყლის ობიექტებით სარგებლობენ სამრეწველო მიზნით, ვალდებული არიან დაიცვან წყალსარგებლობის დადგენილი ეკეფები, ტექნოლოგიური ნორმები და წესები, აგრეთვე განახორციელონ ღონისძიებანი წყლის ხარჯის შემცირებისა და ჩამდინარი წყლების გადაგდების შეწყვეტისათვის ხარვეზის ტექნოლოგიისა და წყალმომარაგების სქემების სრულყოფის საფუძველზე (უწყლო ტექნოლოგიური პროცესების, ჰაერ-გაცივების, საბრუნავი წყალმომარაგებისა და სხვა ტექნიკური ხერხების გამოყენება).

სტიქიური უბედურების, ავარიისა და სხვა განსაკუთრებულ გარემოებათა შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საწარმომ გადააჭარბა წყალსადენიდან წყლით სარგებლობის დადგენილ ლიმიტს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს შეამციროს ან აკრძალოს სამრეწველო მიზნით სასმელი წყლის გამოყენება კომუნალური წყალსადენებიდან და დროებით შეზღუდოს იგი უწყებრივი სამეურნეო-სასმელი წყალსადენებიდან, რათა უპირველეს ყოვლისა დაკმაყოფილდეს მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებანი.

მიწისქვეშა წყლები (მტკნარი, მინერალური, თერმული), რომლებიც არ განეკუთვნება სასმელ ან სამკურნალო წყლებს, შეიძლება დადგენილი წესით გამოიყენონ ტექნიკური წყალმომარაგებისათვის, მათი შემადგენლობიდან ქიმიური ელემენტების გამოსაყოფად, თბოენერგიის მისაღებად და სხვა საწარმოო საჭიროებებისათვის წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 25. წყლის ობიექტებით სარგებლობა ჰიდროენერგეტიკის საჭიროებებისათვის

ჰიდროენერგეტიკის საჭიროებებისათვის წყლის ობიექტებით სარგებლობის დროს უნდა ითვალისწინებდნენ სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ინტერესებს, აგრეთვე იცავდნენ წყლების კომპლექსური გამოყენების მოთხოვნებს, თუ სხვა რამ უშუალოდ არ არის გათვალისწინებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით, ხოლო შესაბამის შემთხვევებში — წყლების გამოყენებისა და დაცვის მარეგულირებელი ორგანოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 26. წყლის ობიექტებით სარგებლობა წყლის ტრანსპორტისა და ხე-ტყის დაცურების საჭიროებებისათვის

სსრ კავშირის მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, არხები, შიდა ზღვები და სხვა შიდა საზღვაო წყლები, აგრეთვე ტერიტორიული წყლები (ტერიტორიული ზღვა) საერთო სარგებლობის წყალსავალი გზებია, იმ შემთხვევების გარდა, როცა მათი გამოყენება ამ მიზნით მთლიანად თუ ნაწილობრივ აკრძალულია ან ისინი გადაცემულია განკერძოებული სარგებლობისათვის.

სანაოსნო და ხე-ტყის დასაცურებელი კატეგორიისათვის წყალსავალი გზების მიკუთვნების, აგრეთვე წყალსავალი გზების ექსპლოატაციის წესების დადგენის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

ხე-ტყის გაშლილად დაცურება, აგრეთვე კონებად თუ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

და ზონები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 39. წყლების დაცვა დაშრეტისაგან

მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მიწისქვეშა წყლებისა და სხვა წყლის ობიექტების ხელსაყრელი წყლის რეჟიმის შესანარჩუნებლად, ნიადაგთა წყლისმიერი ეროზიის, წყალსატევების დალამვის, წყლის ცხოველების ბინადრობის პირობების გაუარესების თავიდან ასაცილებლად, ჩამონადენის მერყეობის შესამცირებლად და სხვ. იქმნება ტყეების წყალსაცავი ზონები, აგრეთვე ხორციელდება სატყეო-სამელიორაციო, ეროზიის საწინააღმდეგო, ჰიდროტექნიკური და სხვა ღონისძიებანი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოები მას შემდეგ, რაც შეათანხმებენ იმ საწარმოების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების განლაგებისა და მშენებლობის საკითხებს, რომლებიც გაკეთებას ახდენენ წყლების მდგომარეობაზე, აგრეთვე გასცემენ სპეციალური წყალსარგებლობის ნებართვას, მოვალენი არიან იხელმძღვანელონ წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემებით და წყალსამეურნეო ბალანსებით, რომლებიც ითვალისწინებენ წყლით მოსარგებლეთა და მიწით მოსარგებლეთა ინტერესებს.

თუ გაზის, ნავთობის, ქვანახშირისა და სხვა სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ძიებასთან, დაზვერვასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებულ საბურღ და სხვა სამთო სამუშაოთა დროს აღმოჩნდება მიწისქვეშა წყლოვანი ჰორიზონტები, სამთო სამუშაოთა მომწყობი ორგანიზაციები მოვალენი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ეს წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებს და დადგენილი წესით განახორციელონ მიწისქვეშა წყლების დაცვის ღონისძიებანი.

ის ჭაბურღილები, რომლებიდანაც თავისთავად ამოდის წყალი, უნდა აღიჭურვოს მარეგულირებელი მოწყობილობით, დაკონსერვდეს ან მოხდეს ლიკვიდაცია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 40. წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და ლიკვიდაცია

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი მოვალენი არიან წყლის გამოყენების რეგულირებისა და დაცვის ორგანოებთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და სხვა დაინტერესებულ სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებით ან ამისათვის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების მითითებით განახორციელონ წყლების ისეთი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებანი, როგორიც არის:

წყალდიდობა, დატბორვა და წყლის შედგომა;
ნაპირების რღვევა, დამცავი ჯებირებისა და სხვა ნაგებობათა ნგრევა;
მიწების დაჭაობება და დამლაშება;
ნიადაგთა ეროზია, ხრამების, მეწყერების, ღვარცოფებისა და სხვა მავნე მოვლენათა წარმოქმნა.

წყლის მავნე ზემოქმედებით გამოწვეულ სტიქიურ უბედურებათა თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის გადაუდებელ ღონისძიებათა განხორციელებას არეგულირებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

წყლების მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებანი გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმებში.

ᲙᲐᲠᲘ IV

წყლების გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა და დაგეგმვა

მუხლი 41. წყლების გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვისა და დაგეგმვის ამოცანები

წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის ამოცანაა დადგინოს წყლების რაოდენობა და ხარისხი, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებათათვის წყლების გამოყენების მონაცემები.

წყლების გამოყენების დაგეგმვამ უნდა უზრუნველყოს წყლების მეცნიერულად დასაბუთებული განაწილება წყლით მოსაგებლების შორის იმის გათვალისწინებით, რომ პირველ რიგში დაკმაყოფილდეს მოსახლეობის სასმელი და საყოფაცხოვრებო საჭიროებანი, წყლების დაცვა და მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება. წყლების გამოყენების დაგეგმვის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას სახელმწიფო წყლის კადასტრის მონაცემები, წყალსამეურნეო ბალანსები, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები.

მუხლი 42. სახელმწიფო წყლის კადასტრი

სახელმწიფო წყლის კადასტრი შეიცავს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მისეულ წყლების აღრიცხვის, წყალსარგებლობის რეგისტრაციის მონაცემებს, აგრეთვე წყლების გამოყენების აღრიცხვის მონაცემებს.

მუხლი 43. წყალსამეურნეო ბალანსები

წყალსამეურნეო ბალანსები, რომლებშიც შეფასებულია წყლების არსებობა და მათი გამოყენების ხარისხი, დგება აუზების, ეკონომიური რაიონების, მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის მიხედვით.

მუხლი 44. წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემები

წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის ენერალური და სააუზო (ტერიტორიული) სქემები განსაზღვრავენ ძირითად წყალსამეურნეო და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს წყალზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, აგრეთვე წყლების დაცვისა და მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისათვის.

მუხლი 45. წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენისა და წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავების წესი

წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვა, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოება, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენა, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავება ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე და სსრ კავშირისათვის ერთიანი სისტემებით.

წყლებისა და მათი გამოყენების სახელმწიფო აღრიცხვის, სახელმწიფო წყლის კადასტრის წარმოების, წყალსამეურნეო ბალანსების შედგენის, წყლების კომპლექსური გამოყენებისა და დაცვის სქემების შემუშავებისა და დამტკიცების წესს ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

ᲙᲐᲠᲘ V

პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

მუხლი 46. პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის

წყალსარგებლობის უფლების დათმობა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარად თუ ფარული ფორმით არღვევენ წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

იმ პირთ, რომელთაც ბრალი მიუძღვით ასეთ გარიგებებში, აგრეთვე იმაში, რომ:

თვითნებურად იკავებენ წყლის ობიექტებს ან თვითნებურად სარგებლობენ წყლით;
იღებენ წყალს წყალსარგებლობის გეგმების დარღვევით;
აბინძურებენ და ანაგვიანებენ წყლებს;
საექსპლოატაციოდ გადასცემენ საწარმოებს, კომუნალურ და სხვა ობიექტებს ისეთ ნაგებობათა და მოწყობილობათა გარეშე, რომლებიც უზრუნველყოფენ წყლების გაბინძურებისა და დანაგვიანების ან მათი მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებას;
უყაირათოდ იყენებენ წყალს (წყლის ობიექტებიდან ამოღებულსა თუ გაფლანგულს);
წყალშემკრებებში არღვევენ წყლის დაცვის რეჟიმს, რაც იწვევს წყლების გაბინძურებას, ნიადაგების წყლისმიერ ეროზიასა და სხვა მავნე მოვლენებს;
თვითნებურად აწარმოებენ ჰიდროტექნიკურ სამუშაოებს;
აზიანებენ წყალსამეურნეო ნაგებობებსა და მოწყობილობებს;
არღვევენ წყალსამეურნეო ნაგებობათა და მოწყობილობათა ექსპლოატაციის წესებს;
ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობამ შეიძლება დააწესოს პასუხისმგებლობა წყლის კანონმდებლობის სხვა სახეობათა დარღვევებისთვისაც.

თვითნებურად დაკავებული წყლის ობიექტები დაბრუნებულ უნდა იქნას კუთვნილებისამებრ იმ ხარჯების აუნაზღაურებლად, რომლებიც გაწეულია უკანონო სარგებლობის დროს.

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებანი და მოქალაქენი ვალდებულნი არიან აანაზღაურონ წყლის კანონმდებლობის დარღვევით გამოწვეული ზარალი ანაზღაურებასთან დაკავშირებული ხარჯები, ეკისრებათ მატერიალური პასუხისმგებლობა დადგენილი წესით.

ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲙᲔᲠᲔᲑᲘ

საქართველოს უნივერსიტეტების რესპუბლიკური აქტივის კრება

32 ათასამდე მსმენელი უუფლება ცოდნას, იფართოვებს ტექნიკურ და ზოგადკულტურულ ჰორიზონტს რესპუბლიკის 310 სახალხო უნივერსიტეტში.

საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციები ესწრაფვიან მრავალფეროვანი გახადონ თავიანთი მუშაობის ფორმები და უფრო შეუხამონ ისინი მსმენელთა მოთხოვნებს, აფართოებენ უნივერსიტეტების პროფილს. მტკიცედ დამკვიდრდა ცხოვრებაში მასობრივი პროპაგანდის ახალი ფორმა — ლენინური სახალხო უნივერსიტეტები, რომლებიც შეიქმნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების დღეებში.

საქართველოში მასობრივი განათლების ახალი ფორმის პოპულარობას მოწმობს ის ფაქტი, რომ სახალხო უნივერსიტეტები შექმნილია თვით შორეულ მთის რაიონებშიც კი. ისინი აგრეკილებენ არა მარტო ზოგადსაგანმანათლებლო და მარქსისტულ-ლენინურ, არამედ აგრეთვე ტექნიკურ, ეკონომიურ, სამართლებრივ, ესთეტიკურ ცოდნას. წარმატებით მუშაობენ მშობელთა, ქალთული საბჭოთა ლიტერატურის შემსწავლელი და სხვა უნივერსიტეტები. აქასთანავე ჯერ კიდევ არასაკმარისია მეცნიერულ-ტექნიკური პროფილის, სასოფლო-სამეურნეო ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის რაოდენობა. ზოგიერთ მათგანში ჯერჯერობით სიმაღლეზე არ დგას იდეურ-თეორიული დონე, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი.

ყოველივე ეს ითქვა სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური აქტივის კრებაზე, რომელიც 10 დეკემბერს გაიმართა.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ბოგინჩაშვილმა.

მოხსენება „საქართველოს სახალხო უნივერსიტეტების ამოცანები სკკპ XXIV ყრილობისათვის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავისათვის მზადებასთან დაკავშირებით“ გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგემ, სახალხო უნივერსიტეტების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დ. ბოგოხიამ.

მოხსენების გამო გაიმართულ კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამგე ბ. აბაშიშვილი, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დ. თუბლიძე, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მმართველი ლ. ბერხუთელიანი, თელავის რაიონის სოფელ იყალთოს კულტურის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი ბ. შპილრეშვილი, რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის საშეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შ. ირაჯონიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი ბ. ჯიბლაძე, საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე შ. მახარაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სინრაძემ დიპლომები და ფასიანები საჩუქრები გადასცა სახალხო უნივერსიტეტების რექტორებსა და აქტივისტებს, რომლებმაც კარგი შედეგები მოიპოვეს თავიანთ საქმიანობაში ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების პერიოდში. (საქდესი).

50 მილიონი ხე — საკმაობლოს

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲢᲧᲔᲔᲑᲘ

ამ შემოდგომასა და მომავალ გაზაფხულზე 50 მილიონ ძირ ხეს შეემატებთ ჩვენს მთა-გორებსა და ველ-მინდვრებს, ვამრავლებთ ტყეებს, პარკებს და ხეივნებს ყველგან, სოფლად და ქალაქად — ასეთია საქართველოს შრომელთა ვალდებულება, რაც მათ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად აიღეს. ახალ ნარგავთა გაშენების სამუშაოთა მნიშვნელოვანი ნაწილი სატყეო მეურნეობის შუშაკებზე მოდის. მათ უნდა დარგონ და ახარონ 32 მილიონამდე ძირი ხე.

ამ პატრიოტული ვალდებულების შესრულებისათვის ბრძოლაში ერთსულოვნად დაირაზმნენ საქართველოს მეტყევეები. დადგა თუ არა რგვის სეზონი, საქმეს შეუდგნენ — შენდება ახალი ტყეები, წარმოებს ადრე გაშენებულ მეჩხერ ნარგაობათა შევსება, იქმნება ქარსაფარი და დაცვითი ტყის ზოლები. როგორც საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტიდან გვაცნობეს, **პირველი დეკემბრისათვის უკვე დარგული იყო 20 მილიონ ძირ ნერგზე მეტი.**

ტყის ახალი მასივების გაშენებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი თბილისის, წალკის, ახმეტის, ამბროლაურის, თიანეთის, ონის, მცხეთის, გურჯაანის, აბასთუმნის სატყეო მეურნეობებმა.

მეტყევეთა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ნარგავთა საუკეთესო მოვლა-პატრონობით მიაღწიონ გახარების მაღალ პროცენტს. რგვა გრძელდება.

ᲕᲐᲒᲝᲜ-ᲙᲚᲣᲑᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲡ...

ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲡ მაგისტრალის რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის ვაგონ-კლუბში, რომელიც ამ დღეებში ესტუმრა წნორის სადგურს, შეხვედრა მოუწყოს არა მარტო რკინიგზელებს, არამედ ქ. წნორისა და მთლიანად სიღნაღის რაიონის მშრომელებს. შეხვედრა მიეძღვნა პარტიის XXIV ყრილობისათვის, საქართველოს საიუბილეო თარიღისადმი.

ვაგონ-კლუბში (ამჟამ ი. ბერძენიშვილი) მშრომელები თბილად შეხვდნენ რეჟოლუციის ვეტერანებს კ. გვალიას და ა. ქემოკლიძეს. წნორელმა პიონერებმა სტუმრებს მიართვეს ყვავილების თაიგული.

ლექცია თემაზე: „საქართველოს სახელოვანი 50 წელი“ წაიკითხა საზოგადოება „ცოდნის“ სიღნაღის რაიონული ორგანიზაციის პასუხისმგებელმა მდივანმა შ. შალვაშვილმა. საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ კ. გვალია და ა. ქემოკლიძე. წნორის პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები რევოლუციაზე, ლენინზე, პარტიაზე.

შინაარსიანი პროგრამით გამოვიდა გურჯაანის რკინიგზის სადგურის კულტსახლის კოლექტივი.

დასასრულ ნაჩვენები იქნა დოკუმენტური კინოფილმი, რომელშიც ასახულია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ეპოქები. აღსანიშნავია, რომ რევოლუციის ვეტერანებმა სწორედ ამ ვაგონით გაიარეს გზა სადგურ წნორის წყლიდან ბათუმამდე და აღმოდნენ მაზნებარე ადგილებიან.

ახლა, მოახლოებული იუბილეს წინ, ვაგონ-კლუბი იმავე გზით, რომლითაც რევოლუციის დროს ჩავიდა ბათუმში, ორმოცი დღის მანძილზე იელის ძველი მარშრუტით და რკინიგზის სადგურებში მოაწყობს საღამოებს. შეხვედება რევოლუციის ვეტერანებს.

უთუოდ საყურადღებოა ეს.

Ჯ. ᲜᲐᲠᲘᲜᲓᲝᲕᲘᲚᲘ.
საქართველოს-კავ სიღნაღის რაიკომის ინსტრუქტორი.

„ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-384“

10 დეკემბერს სსრ კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-384“ (საკდესი).

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

საქმის მოსმენა გადაიდო

● ნიუ-იორკი. (საკდესი). ნიუ-იორკის შტატის საუბილეციო სასამართლომ გუშინ განიხილა „საქმე“ იმის შესახებ, რომ ამერიკელი კომუნისტი ანეელა დევისი გადაეცეს კალიფორნიის ხელისუფალთ, და მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმის მოსმენა გადაიდოს 16 დეკემბრისათვის.

აწვდიან იარაღს

● ლონდონი. (საკდესი). ავსტრალიის მთავრობამ გადაწყვიტა პნომპენის ხელისუფალთ მიაწოდოს 7.800 ავტომატი და ტყვია-წამალი. იარაღის პირველი პარტია — 3.000 ავტომატი, როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, უკვე ჩატანილია კამბოჯაში.

ფაშისტური პროვოკაცია

● რომი. (საკდესი). ფუხელ პროვოკაციული გამოხდომა მოაწყეს ეგრეთ წოდებული „სოციალური მოძრაობის“ (ნეოფაშისტური პარტია) წევრებმა იტალიის დედაქალაქში. მათ ცეცხლგამჩენი ნითხით სავსე ბოთლები შეაყარეს კომუნისტური პარტიის ორი სექციის შენობებში, რომლებსაც მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენეს.

შეწყდეს სამკრცხვინო გასამართლება!

□

საბჭოთა იურისტების ხმა

ბურგოსის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით საბჭოთა იურისტების ასოციაციამ მიიღო განცხადება, რომელშიც მოითხოვს, რომ დაუყოვნებლივ შეწყდეს სამარცხვინო გასამართლება და გაათავისუფლონ ბასკი პატრიოტები. ასოციაციამ მოუწოდა ყველა ქვეყნის იურისტებს, მათ შორის ესპანეთის პროგრესულ იურისტებსაც, ისე როგორც მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს, ხმა აღიმაღლონ მამაცი ესპანელი პატრიოტების დასაცავად და შეაჩერონ მათზე აღმართული გათავხედებული ჯალათების მახვილი. (საკდესი).

სოლიდარობა პატრიოტებს

ბასკეთის ორგანიზაციის აქტივისტების ბურგოსში სამხედრო გასამართლებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მხურვალე სოლიდარობას უცხადებს ბასკ პატრიოტებს, ესპანელი ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის. (საკდესი).

ᲔᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘ ᲨᲤᲝᲗᲐᲕᲡ

მადრიდი, 12 დეკემბერი. (საკდესი). შფოთიანი ვითარებაა ახლა ესპანეთში. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაფიცვებმა იფეთქეს: მადრიდის ტრამვაის მუშაკები და მძღოლები, ხიხონის მექანანშრომლები და მებადურები, ანდალუზიის მევენახეები და ზეთისხილის მკრეფავები, ბარსელონის სტუდენტები, სან-სებასტიანის დოკერები გამოვიდნენ ქუჩებში, რათა უარი თქვეინონ ქალაქ ბურგოსის სამხედრო პროკურორს იმ მოთხოვნაზე, რომ სიკვდილი მიუსაჯონ ისკოსა და მის ხუთ ამხანაგს, ხოლო დანარჩენ 10 ბასკ პატრიოტს — საერთო ჯამში 754 წლის პატიმრობა.

ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲗ

რ. ნიქსონის პრეს-კონფერენცია

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. 12 დეკემბერი. (საკდესი). აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა დაადასტურა, რომ ამერიკელთა და მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტების მიუხედავად, შეერთებული შტატები აპირებს განაგრძოს აგრესიული პოლიტიკა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

მან, კერძოდ, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „სადაზვერვო თვითმფრინავები გაანაგრძობენ ფრენას ჩრდილოეთ ვიეტნამში“. „თუ ჩვენს თვითმფრინავებს, — თქვა რ. ნიქსონმა, — ცეცხლს დაუშენენ, ბრძანებას გავცემ, არათუ ცეცხლითვე უპასუხონ, არამედ ჰაერიდან გაანადგურონ რაკეტების სასტარტო პოზიციები და ამ პოზიციის გარშემო მდებარე სამხედრო კომპლექსები, რომლებიც მათ მხარდასაჭერადაა განკუთვნილი“.

რ. ნიქსონმა უპასუხა კორესპონდენტთა შეკითხვებზე და კატეგორიული უარი თქვა დაეზუსტებინა სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარების გამოყვანის თავის დროზე დაპირებული ვადები.

თავის გამოსვლაში აშშ-ის პრეზიდენტმა დაჟინებით მოსთხოვა კონგრესს მოიწონოს ნიქსონის კანონპროექტი ისრაელისათვის დამატებითი სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ.

პრეზიდენტი შეეხო საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას და განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა კვლავაც ძნელი იქნება“, ამასთან დასძინა, რომ ამერიკა არ აპირებს „დაადგეს ბრძოლის პოზიციებს“.



ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ხელისუფალნი ფარისევლურად აცხადებენ, რომ თითქოს ესწრაფვიან მშვიდობას, მაგრამ მაინც განაგრძობენ აგრესიულ ომს ვიეტნამში, ზრდიან სამხედრო იარაღის ისრაელისათვის მიყიდვას (ბაზომბებიდან).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ „ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ“ ᲑᲐᲠᲔᲓᲘ. ნახატი ამერიკულ გაზეთ „დეილი უორლდიდან“.

ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲐ

თავისუფლება ანჯელა დევისს!

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ნიუ-იორკის ბევრ შენობაზე გამოჩნდა პლაკატები, რომლებზეც გამოსახულია ახალგაზრდა ზანგი ქალიშვილი და წარწერილია მოწოდებანი: „თავისუფლება ანჯელა დევისს!“, „ხელები შორს ანჯელასაგან!“. დღე არ გავა ისე, რომ ამერიკის სხვადასხვა ქალაქში არ გაიმართოს დემონსტრაციები ან მიტინგები მის დასაცავად.

მისი დევნა დაიწყო ჯერ კიდევ გასული წლის შემოდგომაზე, როცა დაზვერვის ფედერალური ბიუროს პროვოკატორის დახმარებით ხელისუფლებმა გამოარკვიეს, რომ დევისი, რომელიც კალიფორნიის უნივერსიტეტში ფილოსოფიას ასწავლიდა, კომუნისტია.

ანჯელა დევისი არ უარყოფდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრია. „დიახ, კომუნისტი ვარ, — თქვა მან ერთ-ერთ ინტერვიუში. — იმიტომ გავხდი კომუნისტი, რომ ჩვენთვის აუცილებელია სასწრაფოდ რადიკალურად გადავწყვიტოთ თეთრ კაპიტალისტურ ამერიკაში რასობრივ და ეროვნულ უმცირესობათა პრობლემები“.

კალიფორნიის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება მიიღო დაეთხოვა იგი სამუშაოდან. ასეთი რეპრესიული ღონისძიების „საფუძველი“ გახდა დადგენილება, რომელიც მიღებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში მაკარტისტული რეაქციის თარეშის პერიოდში. იგი უკრძალავს კომუნისტებს და სხვა „ძირგამომთხრელ ელემენტებს“ მასწავლებლებად მუშაობას. მაგრამ ანჯელას წინააღმდეგ რეაქციის პირველი შეტევა ჩაიფუშა. მან საჩივარი შეიტანა სასამართლოში და გადაწყვეტილება გაუქმებულ იქნა. მაგრამ „კუდიანებზე მონადირენი“ არ დამშვიდებულან.

მიმდინარე წლის მაისში გაზეთების ფურცლებზე კვლავ გამოჩნდა ცნობები „ანჯელა დევისის საქმის“ შესახებ. როცა უნივერსიტეტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გამოაცხადა, რომ აპირებდა შემდეგი სასწავლო წლისათვის მიეცა ანჯელასათვის მასწავლებლის თანამდებობა, საქმეში ჩაერია მზრუნველთა საბჭო, რომელიც ჩვეულებრივ არა მუშაობს მასწავლებელთა შემადგენლობის შერჩევაზე. საბჭოში შედის შტატის საკმაოდ ბევრი რეაქციული მოღვაწე, მათ შორის ყოველივე პროგრესულისადმი თავისი შეუწყნარებლობით ცნობილი კალიფორნიის გუბერნატორი რონალდ რეიგანი.

ანჯელამ ვერ მოასწრო კვლავ მიემართა სასამართლოსათვის, რომ შტატის ხელისუფლებმა მის წინააღმდეგ წამოიწყეს ახალი, ამჯერად მეტისმეტად სერიოზული პროვოკაცია. ...7 აგვისტოს კალიფორნიის ქალაქ სან-რაფაელში მოხდა წარუმატებელი ცდა გაეთავისუფლებინათ სამი პატიმარი ზანგი. ჩვიდმეტი წლის ზანგი ჯონატან ჯექსონი შევიდა სასამართლოს შენობაში. ამოიღო პისტოლეტი და უბრძანა მოსამართლესა და პატიმრებს, რომელებსაც უსამართლოდ სდებდნენ ბრალს, მკვლელობაში, გასულიყვნენ დარბაზიდან და ავტომანქანაში ჩამსხდარიყვნენ. მანქანა რომ დაიძრა, პოლიციამ მას სროლა აუტეხა. მოსამართლე, ორი პატიმარი და ახალგაზრდა, რომელმაც სცადა გაეთავისუფლებინა ისინი, მოკლულ იქნენ. სასწრაფოდ ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ პოლიციამ განაცხადა, მანქანაში ნაპოვნი პისტოლეტი ანჯელა დევისს ეკუთვნოდა.

ანჯელა დევისს მართლაც ჰქონდა იარაღი. მან იყიდა პისტოლეტი და ლეგალურად გაატარა იგი რეგისტრაციაში მას შემდეგ, რაც „უცნობებმა“ დამუქრება დაუწყეს, რომ გაუსწორდებოდნენ მამაცური გამოსვლებისათვის შავკანიან ამერიკელთა დასაცავად. მაგრამ კალიფორნიის ხელისუფლებმა იმის გამო, რომ ფაქტები არა ჰქონდათ, ვერ შეძლეს ბრალი დაედოთ ანჯელასათვის იმაში, თითქოს მან იცოდა, რომ მზადდებოდა თავდასხმა სასამართლოში და ამისათვის თავისი პისტოლეტი მისცა. ამიტომ, როგორც ამერიკის კრესა აღიარებს, მისი დაპატიმრების ორდერი ფორმალურადაც კი არ არის კანონიერი.

მიუხედავად ამისა, ანჯელა დევისის სახელი სასწრაფოდ შეეტანეს ამერიკის შეერთებული შტატების „ათი ყველაზე საშიში დამნაშავის“ სიაში, და იგი ციხეში გამოაბეზღდეს. მას ემუქრება სიკვდილი ან უვადმივი პატიმრობა.

ანჯელა დევისის დასაცავად ფეხზე დადგა ამერიკის მრავალი ათასი პროგრესული მოქალაქე. ნიუ-იორკსა და ლოს-ანჯელესში, პიტსბურგსა და სან-ფრანცისკოში უბრალო ამერიკელები მართავენ მიტინგებსა და დემონსტრაციებს, გამოთქვამენ თავიანთ აღშფოთებას კომუნისტი ზანგი ქალიშვილის დევნის გამო და მოითხოვენ მის განთავისუფლებას. ანჯელას მხარს უჭერენ ზანგები და თეთრკანიანები, სტუდენტები და მუშები, ინტელიგენცია და საზოგადო მოღვაწენი.

„ხელები შორს ანჯელასაგან!“ — ამბობს პროგრესული ამერიკა.

• • •

„ᲐᲜᲯᲔᲚᲐ ᲓᲔᲕᲘᲡᲘ — ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ“.
ნახატი გაზეთ „ნოიეს დოიჩლანდიდან“.

მსოფლიო დღეს

კენიელი ხალხის დღესასწაული

ᲜᲐᲘᲠᲝᲑᲘ. 11 დეკემბერი. (საკდესი). 12 დეკემბერს კენიის რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულია. შვიდი წლის წინათ აღმოსავლეთ აფრიკის ამ ქვეყანაში აფრიალდა დამოუკიდებლობის ალამი, რომელმაც გვაუწყა, რომ ახალი ერა დაიწყო კენიელი ხალხის ისტორიაში.

დამოუკიდებლობის მინიჭებისთანავე კენია წააწყდა მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც მემკვიდრეობად დაუტოვა კოლონიურმა წარსულმა. კენიელი ხალხის მეცადინეობა უწინარეს ყოვლისა მიზნად ისახავდა ისეთი საპირობოროტო პრობლემების გადაწყვეტას, როგორიცაა მიწის საკითხი, ბრძოლა უმუშევრობის, ავადმყოფობის წინააღმდეგ, ეკონომიური გარდაქმნა. კენიაში, ისე როგორც აფრიკის ბევრ სხვა ქვეყანაში, ეკონომიკის საფუძველია სასოფლო-სამეურნეო წარმოება. ამიტომ მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობს მიწის საკითხის გადაწყვეტას. დამოუკიდებლობის წლების მანძილზე 300 ათასმა გლეხმა მიიღო მიწა.

სამრეწველო წარმოებაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებს სახელმწიფო სექტორი. კენიაში შექმნილია სამრეწველო და კომერციული განვითარების კორპორაცია.

წინათ კენიაში არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, ხოლო დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ მხოლოდ 50 კენიელს ჰქონდა უმაღლესი განათლება. დღეს კენიის ეროვნულ უნივერსიტეტში სწავლობს 3 ათასამდე სტუდენტი, ხოლო უახლოეს ხუთ წელიწადში მათი რიცხვი გაორკეცდება.

საერთაშორისო ასპარეზზე კენია მხარს უჭერს მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფას, კოლონიალიზმისა და რასიზმის ლიკვიდაციას აფრიკის კონტინენტზე.

წარმატებთან ვითარდება კენიის ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

მდგომარეობა ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐᲨᲘ

ᲐᲛᲐᲜ. 11 დეკემბერი. (საკდესი). იორდანიაში მდგომარეობის ნორმალიზაციის არაბეთის ქვეყნების უმაღლესი კომიტეტი განაგრძობს ქვეყანაში შექმნილი ვითარების განხილვას. 9 და 10 დეკემბერს გამართულ კომიტეტის სხდომებში მონაწილეობდნენ იორდანიის პრემიერ-მინისტრი ვასფი ტელი და პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე იასირ არაფატი. სხდომებზე მთავარი ყურადღება დაეთმო ჯარაშის (ჩრდილოეთი იორდანია) მომხდარ უკანასკნელ შეტაკებათა მიზეზებს.

წუხელ ამაში ხანგრძლივი სროლა ატყდა. ეს უკანასკნელი რვა დღის მანძილზე მესამე შემთხვევაა იორდანიის დედაქალაქში.

ნიუ-იორკი. 11 დეკემბერი. (საკდესი). როგორც იუნიტედ პრეს ინტერნა

ჩვენი ხაუკუნე



მესტია. სოფელი ეცერი. ფოტო ვ. ჩხუმიანისა.

მოძანდაკის თვალით

ვიეტნამსა და კამბოჯაში

გივი მიზანდარმა ამ თვრამეტი წლის წინათ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. მისმა სადიპლომო ნამუშევარმა — **„ოსვენციმი არ განმეორდება“** მაღალი შეფასება დაიმსახურა. ეს იყო ფიგურები განწამები ქალ-ვაჟისა, რომელთაც სიკვდილის კედელთან ბარბაროსულად უსწორდებოდნენ ფაშისტები.

ამჟამად გ. მიზანდარის ქანდაკება აღმართულია პოლონეთში, ოსვენციმის ყოფილ საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე.

1960 წელს გ. მიზანდარი მიავლინეს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც იგი ჰანოის სამხატვრო ინსტიტუტში ვიეტნამელ ახალგაზრდებს ასწავლიდა ქანდაკებას.

სამ წელიწადს დაჰყო გივიმ ვიეტნამში. მეტად ნაყოფიერი იყო ეს ხანა ახალგაზრდა მოქანდაკის შემოქმედებაში. „იგი პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ბევრს მუშაობდა. ამ ხანებში გამოძერწა მან ვიეტნამელი ხალხის ბელადის **ხო ში მინის** პორტრეტი. მოქანდაკისათვის საინტერესო იყო ამ დიდ ადამიანთან შეხვედრა. ოთხი დღის განმავლობაში, დღეში ორორო საათს ხვდებოდა იგი ვიეტნამელი ხალხის დიდ შვილს. ხო ში მინის პორტრეტის ასლი მიზანდარმა საკავშირო გამოფენაზე გამოგზავნა მოსკოვში.

ქართველ მოქანდაკეს ბევრ საინტერესო ადამიანთან უხდებოდა შეხვედრა. ასე შექმნა მან ომის გმირის, ვიეტნამის დიდი თეატრის სახალხო მსახიობის ჩუ-კუ-ინის, ვიეტნამელი მოქანდაკის, პროფესორ **ჩან-ვან-ლამის**, პარტიზან **ზაანის** პორტრეტები. ეს ნამუშევრები გ. მიზანდარმა სამშობლოში წამოიღო.

მაგრამ ბევრი მის მიერ შექმნილი ქანდაკება იქ, ვიეტნამში დარჩა. პორტის ქალაქ ჰაიფონში დაიდგა გ. მიზანდარის მიერ შექმნილი მონუმენტი.

გ. მიზანდარმა თაინჯრენის რევოლუციური მუზეუმის თხოვნით შექმნა **ვ. ი. ლენინის პორტრეტი**, რომელიც ამშვენებს მუზეუმის ექსპოზიციას.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 1968 წელს გ. მიზანდარს ორი წლით კვლავ გზავნიან კამბოჯაში, სადაც იგი საბჭოთა მხატვრების ჯგუფთან ერთად კამბოჯის ხელოვნების სამეფო ინსტიტუტში ასწავლიდა ქანდაკებას. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ მოქანდაკეზე კამბოჯამ — დიდი ისტორიული წარსულის მქონე ქვეყანამ, უძველესი კულტურის ძეგლებმა. მიზანდარმა გადაწყვიტა შეექმნა კამბოჯის ეროვნული გმირის, XI საუკუნის მეფის **ჯაიავარმან VII-ის** მონუმენტი, რომელსაც კამბოჯის საზოგადოებრიობა გაეცნო მიზანდარის პერსონალურ გამოფენაზე. ადგილობრივმა პრესამ მაღალი შეფასება მისცა ქართველი მოქანდაკის ნამუშევარს. ჯაიავარმან VII-ის მონუმენტი შეისყიდა ქ. კეპის ხელმძღვანელობამ ქალაქში დასადგმელად.

კამბოჯაში გ. მიზანდარმა ბევრი საინტერესო ნამუშევარი შექმნა. ეს არის ცნობილი კამბოჯელი არქიტექტორის ვანმოლივანის, კეპის გუბერნატორის სამუტის პორტრეტები. კამბოჯაშივე გამოძერწა მან ფირუსმანის სახე. ქანდაკების გარდა იგი მუშაობდა ჭედურობაშიც. შექმნა არა ერთი ნამუშევარი, რომელთა შორის ყურადღებას იქცევს **„შოთა რუსთაველი“, „მოცეკვავე ქალი“, „დედა კამბოჯისა“** და სხვ.

აღსანიშნავია, რომ გ. მიზანდარი პირველი საბჭოთა მოქანდაკეა, რომელიც მივლინებული იყო საზღვარგარეთ პედაგოგად.

ამ დღეებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების შენობაში გაიხსნა გივი მიზანდარის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა, სადაც წარმოდგენილია მოქანდაკის მიერ ვიეტნამსა და კამბოჯაში შესრულებული პორტრეტული კომპოზიციური ქანდაკებები და ჭედური ხელოვნების ნიმუშები.

მეტად საინტერესო ფონს უქმნის გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებს ვიეტნამსა და კამბოჯაში მოქანდაკის მიერ შესრულებული მხატვრული ფოტოსურათები, რომლებზეც ასახულია ამ ქვეყნების ხალხთა ცხოვრება, ისტორიული ძეგლები, ღირსშესანიშნობანი. აგრეთვე ის ქანდაკებები, რომლებიც მიზანდარმა დატოვა ვიეტნამსა და კამბოჯაში.

ლარისა ხუბულური.

* * *

სურათებზე: გ. მიზანდარის ნამუშევრები: ზემოთ — „მოცეკვავე ქალი“; ქვემოთ მარცხნიდან — ხო ში მინის ბიუსტი და „დედა კამბოჯისა“.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



გაიმარჯვეს სტუმრებმა

ბაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

ბუშინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები გუნდების V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე. ფინალში I-II ადგილების ბედის გასარკვევად შეხვდნენ იუგოსლავიისა და საქართველოს გუნდები. **გაიმარჯვეს იუგოსლავიელებმა (29:18)** და გაზეთის პრიზიც მათ მოიპოვეს. საქართველოს ხელბურთელებმა ბურნსლრში II ადგილი დაიკავეს.

III-IV ადგილებისათვის ბრძოლაში გფრ-ის ნაკრებმა გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 21:19. VI ადგილით დაკმაყოფილდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელმაც წააგო უკრაინის კოლექტივთან — 20:22. უკრაინელები V ადგილზე გავიდნენ. VII-VIII ადგილები გათამაშდა ისლანდიელებსა და ჩეხოსლოვაკიელებს შორის. გაიმარჯვეს ისლანდიელებმა — 18:17.

ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომლის ორგანიზაციაც დავალებული ჰქონდა თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს (თავმჯდომარე გ. მარაშიძე) კარგად იყო ორგანიზებული. უცხოელი სტუმრები მადლობის გრძნობით ეთხოვებიან თბილისელებს.

ჯ. ენდელაძე.

ჭადრაკი

ეძვსიდან ოთხი ცნობილია

მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო შეჯიბრებაზე გუშინდელი, უკანასკნელი ტურის წინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. და აი ერთი ტურით ადრე უკვე ცნობილი გახდნენ ის მოკადრაკეები, რომლებმაც პრეტენდენტთა ასპარეზობის საგზურები მოიპოვეს. ესენი არიან ამერიკელი **ფიშერი** (17,5 ქულა), დასავლეთგერმანელი **პიუბნერი** (15), საბჭოთა გროსმაისტერი **გელერი** (14,5), დანიელი **ლარსენი** (14). ბოლო ტურის წინ ტაიმანოვსა და ულმანს 13-13 ქულა ჰქონდათ თვითეულს, მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებოდნენ გლიგორიჩი, სმისლოვი, პორტიში და პოლუგაევსკი, ერთი ქულით — მეკინგი.

საინტერესოა გაგვეცნოთ, თუ როგორი მაჩვენებლებით მივიდა ოთხი გამარჯვებული ბოლო ტურამდე (ოთხივეს ნათამაშევი აქვს 22-22 პარტია).

	მ.	ყ.	წ.	ქ.
ფიშერი	14	7	1	17,5
პიუბნერი	10	10	2	15
გელერი	8	13	1	14,5
ლარსენი	8	12	2	14

იმისათვის, რომ ოთხ ფავორიტს შეუერთდნენ, ტაიმანოვმა და ულმანმა უნდა გაიმარჯვონ უკანასკნელ შეხვედრაში: პირველმა უნდა დაამარცხოს მატულოვიჩი მეორემ — ნარანია. მხოლოდ ამ შემთხვევაში ვერ დაეწევიან ამ ორ დიდოსტატს დანარჩენი მეტოქენი. მაგრამ, თუ ეს შეხვედრები ყაიმით დამთავრდა, მათ შეიძლება დაეწიონ ხუთი მოდგენო დიდოსტატი, რომლებსაც 12,5 ქულა აქვთ. წაგების შემთხვევაში კი ისინი კიდეც გაასწრებენ. თუმცა მოსალოდნელია სხვა ვარიანტებიც.

ზემოაღნიშნული ორი შეხვედრის გარდა უკანასკნელ ტურში თამაშობდნენ: ფიშერ-პანო, მინიჩ-გელერი, ჰუბნერ-სმისლოვი, ხმინენს პოლუგაევსკი, რებინეტი-ლარსენი, უიტმენ-პორტიში, ფილიპ-გლიგორიჩი, ოვკოვმეკინგი, სათლზ-რეშევსკი, ჰორტ-ადისონი.

კალათბურთი

ბუშინ თბილისის სპორტის სასახლეში სსრკ პირველობაზე თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კალათბურთელებმა **მოუგეს მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელებს ანგარიშით 72:71.**

ი. დემენტიევა.

ვგზეჭდავთ მკითხველის თხოვნით

„კომუნისტის“ რედაქციას

„იზვესტიას“ 25 ნოემბრის ნომერში წავიკითხე საინტერესო წერილი „ასეთი ხასიათისა არიან“. წერილი გამოქვეყნებულია მეოთხე გვერდზე. მასში ნაჩვენებია ზრუნვა ადამიანზე, მოხსენებულია ჩვენი თანამემამულე ი. შუბლაძე, რომელიც ტაშკენტის ოლქის კოლმეურნეობა „მოსკოვის“ თავმჯდომარეა.

ამ წერილშივე ნაჩვენებია ზოგიერთი უხეირო კაციც. რადგანაც ამ წერილს, ჩემი აზრით, მეტად დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, გთხოვთ გადათარგმნოთ და დაბეჭდოთ „კომუნისტის“ ფურცლებზე.

ვ. თოდუა,

გეგეჭკორის რაიონის სოფელ სალხინოს ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ასრულებთ ვ. თოდუას თხოვნას.

ასეთი ხასიათისა არიან

მკითხველი—გაზეთი

უემჩნეულია: განმარტოებული ადამიანი ისეთი როდია, როგორიც ხალხშია. დაე იყოს. ცუდი არა გაიფიქროთ რა. იქნებ იგი მთელი დღის განმავლობაში საამქროში ან დაწესებულებაში მუშაობას, გარშემო მყოფთ იყო გადაყოლილი. და ახლა უნდა გონს მოეგოს. საერთოდ კი თვალთვალი არ ვარგა, და ასეთი რამ ეპატიებათ მხოლოდ დიდ მხატვრებს, რომლებშიც შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ ამას ბოროტად არ გამოიყენებენ, (მაგალითად, გორკიმ ერთხელ „უთვალთვალა“ ა. პ. ჩეხოვს, როგორ ცდილობდა იგი თავის ბაღში ქუდით დაეჭირა მზის სხივი და იმ წუთში იგი არანაკლებ ჩეხოვად დარჩა, ვიდრე ოდესმე იყო). მაგრამ, უეჭველია, თვითეულ ჩვენგანსაც უნახავს თითქოს განმარტოებული ადამიანი, მოწყვეტილი ჩვეულ გარემოს, რომელიც მისგან მოითხოვს გარკვეული საქმიანი თვისებებისა და ჩვევების გამოვლინებას — დროებითს ვითარებაში, შემთხვევითი ადამიანების საზოგადოებაში, რომლებსაც იგი, ალბათ, აღარ შეხვდება, ერთი სიტყვით, ისეთ პირობებში, როცა ყველაზე ადვილად შეიძლება გამოვლინდეს გარშემო მყოფთაგან დაფარული, იდუმალი მისი თვისებები და ფიქრები.

აი, ვთქვათ, წელს ზაფხულში ტაშკენტის ოლქის კოლმეურნეობა „მოსკოვის“ თავმჯდომარე ი. **შუბლაძე** ისვენებდა კურორტ „ჩორტაკში“, სადაც სამკურნალოდ ჩაეყვანა ავადმყოფი ცოლი.

„არ ვიცი ამ კოლმეურნეობის როგორი წარმატებები აქვს და თვითონ როგორი ხელმძღვანელია, — წერს რედაქციას მასწავლებელი მ. ტუმანოვა, რომელიც ი. შუბლაძესთან ერთდროულად ისვენებდა სანატორიუმ „ჩორტაკში“. — მაგრამ მე ვხედავდი, რას აკეთებდა დასვენების დროს. დადიოდა დაბაში, კითხულობდა, სად ქირავდება ბინები, რომ დასასვენებლად გამოეგზავნა თავისი კოლმეურნეები. უნდოდა გაეგო, ხომ არ შეიძლებოდა რაიმე სათავსის მიშენება, სადაც მოათავსებდა თავის ხალხს. მარტო ამაზე ფიქრობდა. იციან თუ არა კოლმეურნეებმა, რა კეთილი და საინტერესო ადამიანია მათი თავმჯდომარე?..“

ისეც ხდება, რომ ადამიანები ერთმანეთის გვერდით მუშაობენ და უცებ აღმოაჩენენ ხოლმე ერთმეორის მოულოდნელ, ახალ მხარეს.

„ძვირფასო რედაქციავ, — წერს კომუნისტური შრომის დამკვრელი ომსკიდან მ. ლუნინი, — როგორ მოვიქცე? პირადად ჩემგან იგი საჩუქარს არ იღებს, ან როგორ შემიძლია მას სიკეთე გადავუხადო? ლაპარაკია ჩვენს მეაპარატე ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე კოუინზე, რომელთანაც ერთ საამქროში ვმუშაობ, მხოლოდ სხვადასხვა ცვლაში. წელიწადზე მეტი გრძელდებოდა გადაწყვეტა საკითხისა ჩემთვის, როგორც ყოფილი რკინიგზელისათვის, შეღავათიანი პენსიის დანიშვნის შესახებ, მაგრამ მაკლდა საჭირო ცნობები, არქივები დაილუპა. მე იმედიც კი გადამიწყდა და ერთხელ ჩემი გაჭირვება გავუზიარე ამხანაგებს, რომელთა შორის სან სანინიც იყო (ასე ეძახიან კოუინს საამქროში) და, წარმოიდგინეთ, მან მთელი დავიდარაბა თავიდან დაიწყო, თავისი სურვილით, შემდეგ სოციუზრუნველყოფის საოლქო განყოფილებაში კიდევაც მითხრეს: „შენი საქმე რომ დამაკმაყოფილებლად გადაწყდა, შენი შუამდგომლის დამსახურებაო“. აი როგორი ადამიანები არიან ხოლმე, გულთბილნი და შეუპოვარნი!...“

სიკეთე სხვადასხვანაირია. სარედაქციო ფოსტაში ერთხელ შემხვდა წერილი ადამიანზე, რომელმაც ქალაქს პირადი ბიბლიოთეკა აჩუქა. იგი მას მთელი სიცოცხლის მანძილზე აგროვებდა, ახლა კი თავის თანამემამულეებს აძლევდა: იკითხეთ, ისარგებლეთო. მაგრამ ამასთან მან მთელი რიგი პირობები დააყენა. მაგალითად, ყოველდღე მოდიოდა და ამოწმებდა, როგორ ინახავენ მის განძს, და თავისი კრიტიკით არაერთხელ მოუდანინებია ცრემლი ახალგაზრდა გამგე ქალისათვის. სიკეთეა ეს? შეიძლება სიკეთეც იყოს, მაგრამ მას ერთგვარი თავმოწონებაც ახლავს. ზოგჯერ იტყვიან ხოლმე, „უანგაროდ კეთილიაო“. სიტყვათა უცნაური შეხამებაა! თითქოს შეიძლება იყოს ანგარებითი სიკეთე და კეთილი ანგარება.

მაგრამ ზოგს მინიჭებული აქვს კეთილი სული, რომლის იქით ჩანს უფრო სრულყოფილი სულიერი ორგანიზაცია, ყოველივე ადამიანურისადმი ბუნებრივი თანაზიარობის, იმ ადამიანებთან ერთობის გრძნობა, რომლებიც იუალებლად გაისტუმრებენ ვალს, იქნებ მე კი არა, სხვას დაუბრუნონ, ამას არც ისეთი მნიშვნელობა აქვს. სიკეთე ბუნებრივი, რომელიც ხალხში ინახება ძველთაგანვე, როცა ტყის ქოხებში სხვებისთვის ტოვებდნენ მარილს, ასანთს; განძი, რომელიც ვერ დააკნინეს ვერც ომებმა, ვერც სხვა საატომო განსაცდელებმა. სიკეთე, რომელსაც „თვითანთება“ ძალუძს და ავტოგრაფი არ ესაჭიროება. და ამიტომ ასეთი ადამიანებისათვის მსუბუქია მათი ტვირთი, რომელსაც არ ამძიმებს არც შური, არც ეჭვიანობა, არც ანგარიში. სხვებსაც უადვილდებათ მათთან ურთიერთობა, თუმცა ეს სხვები ყოველთვის როდი აძლევენ თავს ანგარიშს: აი გვერდით გამოიარა ადამიანმა, და მთელ დღეს საუკეთესო გუნებაზე ვარ, რატომ?

უანგაროობის ნიჭი, ვიმეორებთ, იშვიათია, განძია, რომელიც ყველა ადამიანს როდი აქვს მინიჭებული, ვუმადლოდეთ მათ იმისთვისაც კი, რომ შეუძლიათ გაარჩონ იგი ყოველდღიურ ფუსფუსში, შეამჩნიონ ხალხში, დაინახონ თუნდაც მცირე საყოფაცხოვრებო მოვლენაში. მაგალითად, მოსკოველი პენსიონერი ვ. ლავროვი ასეთ სასწაულს შეხვდა... სახელმწიფო უნივერსალურ მაღაზიაში! ხანშესული კაცია, სტენოკარდია აქვს, ამასთან ინვალიდია: ზოგი რამ იყიდა და სრულიად ღონემიხდილი ჩამოჯდა საფეხურზე, იქ მასთან მაშინვე მივიდა უცნობი ქალიშვილი. იგი შეეკითხა ლავროვს, რის ყიდვა ვერ მოაწერათო. სწრაფად დარეკა შინაგანი ტელეფონით, რაღაცეები თვითონ უყიდა. შემდეგ საპენოვის გასასვლელამდე გააცილა, დისპეტჩერის საშუალებით ურიგოდ უშოვნა ტაქსი და ლავროვი შინ გაისტუმრა.

„იცით, — წერს იგი რედაქციას, — ჩვენ არც თუ ძალიან ვართ განებივრებული გულსხმიერი დამოკიდებულებით ქალაქის ტრანსპორტის ვაგონებში და მაღაზიებში, და თვითონაც ხშირად როდი ვიჩენთ ასეთ გრძნობებს. აი რატომ ასე ღრმად ჩამწვდა გულში სვეტლანა კორჩაგინას საქციელი, — ამ უცნობი ქალიშვილისა მხოლოდ სახელი ვიცი. და კიდევ ასაკი: 22 წლისაა. ისიც კი არ ვიცი, მოსკოველია თუ ჩამოსული...“

დიახ, ეტყობა, ჩვენ მართლაც ნაკლებად ვართ განებივრებული მომსახურების სფერაში სიკეთის სასწაულებით, და ზოგჯერ თუნდაც უბრალოდ დროზე გაწეული დახმარება, ურთიერთისათვის სამსახურის გაწევა განსაკუთრებულ მოვლენად გვეჩვენება. განსაკუთრებით ბევრი ასეთი წერილი მოდის გზიდან, მგზავრებისაგან. მაგალითად, დნეპროპეტროვსკიდან.

„ჩემს გვარს არა გწერთ, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია დაიწეროს ადამიანზე, რომელმაც ძნელ წუთში გამიწია დახმარება. მე მივემგზავრებოდი პატარა ბავშვებით სამხედრო მოსამსახურე ქმართან მუდმივ საცხოვრებლად. დნეპროპეტროვსკში მატარებლიდან მატარებელში უნდა გადავმსხდარიყავით. პერონზე არ აღმოჩნდა არც ერთი მებარგული, მარტო მილიციელთა ჯგუფი იყო. ერთმა მათგანმა, ყველაზე ჩიამ, რამდენიმე გზად გადამიზიდა ყველა მძიმე ჩემოდანი შესანახ კამერაში და თავისი გვარიც კი არ მითხრა. მივმართე მის ამხანაგებს, რომლებმაც მითხრეს მისი გვარი და თანამდებობა — სერჟანტი ბეზმატერნი“.

ჩვენი გაზეთის მკითხველმა ს. პოპელნიცკაიამ მოგვწერა, როგორ **ფიოს საოლქო განყოფილებაში კიდევაც მითხრეს: „შენი საქმე რომ დამაკმაყოფილებლად გადაწყდა, შენი შუამდგომლის დამსახურებაო“. აი როგორი ადამიანები არიან ხოლმე, გულთბილნი და შეუპოვარნი!...“**

ალბათ ასეთი ადამიანებისათვის ბუნებრივია მათი ტვირთი, რომელსაც არ ამძიმებს არც შური, არც ეჭვიანობა, არც ანგარიში. სხვებსაც უადვილდებათ მათთან ურთიერთობა, თუმცა ეს სხვები ყოველთვის როდი აძლევენ თავს ანგარიშს: აი გვერდით გამოიარა ადამიანმა, და მთელ დღეს საუკეთესო გუნებაზე ვარ, რატომ?

ეს ნამუშევარი, ეტყობა, ბევრ **ფიროსმანის** ხასიათისა.